საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა №27

ქ. ბათუმი 23 თებერვალი, 2018 წ.

ბსუ-ს ბიბლიოთეკის 2018 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის, ბსუ–ს წესდების მე–8 მუხლის, ბიბლიოთეკის დირექტორის, ასოცირებული პროფესორის ლელა თურმანიძის მოხსენების საფუძველზე, აკადემიურმა საბჭომ

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. დამტკიცდეს ბსუ-ს ბიბლიოთეკის 2018 წლის სამუშაო გეგმა **დანართი 1**-ის შესაბამისად.
2. დადგენილება სახელმძღვანელოდ დაეგზავნოს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს.
3. დადგენილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორი, ასოც. პროფესორი **მერაბ ხალვაში**

დანართი 1.
დამტკიცებულია ბსუ-ს აკადემიური საბჭოს
2018 წლის 23 თებერვლის №27 დადგენილებით

ბსუ-ს ბიბლიოთეკის 2018 წლის სამუშაო გეგმა

№	დაგეგმილი აქტივობა	შემსრულებელი	ვადა	შენიშვნა
1.	აბონემენტზე სტუდენტთა და ბსუ-ს პერსონალის მომსახურება (რეგისტრაცია, ბიბლიოთეკით სარგებლობის წესის გაცნობა, მომსახურებისას წარმოქმნილი საჭიროების მიხედვით კონსულტაციების გაწევა, საბიბლიოთეკო დოკუმენტების ცირკულაცია, დავალიანების მქონე მკითხველთა სიების დადგენა, სათანადო რეაგირებისთვის გადაგზავნა)	მომსახურების განყოფილება	მთელი წლის განმავლობაში	
2.	მკითხველთა მომსახურება სამკითხველო დარბაზებში (საბიბლიოთეკო დოკუმენტების დარბაზში მიმოქცევისთვის ყურადღების მიქცევა, საბიბლიოთეკო დოკუმენტების მიწოდება მოთხოვნისამებრ, დახმარება ელექტრონული ასლების გადაღებაში, ელექტრონული კატალოგის გამოყენების შესახებ აუცილებელი კონსულტაციები, დარბაზში არსებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დაცვა)	მომსახურების განყოფილება	მთელი წლის განმავლობაში	
3.	ბიბლიოთეკის მკითხველთა ბარათების რევიზია, ღონისძიებების გატარება არსებული დავალიანების დაფარვის მიზნით	მომსახურების განყოფილება	იანვარი, ივლისი, აგვისტო	
4.	ბიბლიოთეკის საცავებში წიგნების განთავსება, საცავის მდგომარეობის პერიოდული მონიტორინგი, გამოსაყენებლად უვარგისი ეგზემპლარების გამოვლენა	მომსახურებისა და დამუშავება დაკომპლექტების განყოფილებები	მთელი წლის განმავლობაში	
5.	წიგნების ინვენტარიზაციის პროცესის გაგრძელება	დამუშავება-დაკომპლექტების განყოფილება	მთელი წლის განმავლობაში	
6.	შემოსული ლიტერატურის დამუშავება-დაკომპლექტება (შემოსული ლიტერატურის ინვენტარიზაცია,	დამუშავება-დაკომპლექტების განყოფილება	მთელი წლის განმავლობაში	

	ბიბლიოგრაფიული და ტექნიკური დამუშავება, ელექტრონული და მექანიკური კატალოგების შედგენა, საინვენტარო წიგნებისა და ჯამობრივი აღრიცხვის ჟურნალის წარმოება, ინფორმაციის ვებ გვერდზე განთავსება, ლიტერატურის მომზადება ცირკულაციისთვის, მომსახურების განყოფილების/ფაკულტეტის ან ინსტიტუტის ბიბლიოთეკისთვის გადაცემა დადგენილი წესისამებრ)			
7.	პერიოდიკის აღრიცხვა-დამუშავება, მომსახურების განყოფილებისა და საფაკულტეტო/კვლევითი ინსტიტუტის ბიბლიოთეკისთვის გადაცემა	დამუშავება-დაკომპლექტების განყოფილება	მთელი წლის განმავლობაში	
8.	წიგნების რესტავრაციისთვის მომზადება	დამუშავება-დაკომპლექტების განყოფილება	მთელი წლის განმავლობაში	
9.	მომხმარებელთა კონსულტირება მონაცემთა ბაზების გამოყენებაზე	ელექტრონული განყოფილება	მთელი წლის განმავლობაში	
10.	ელექტრონულ რესურსებზე მოთხოვნის კვლევა, დეფიციტური ლიტერატურის ელ. ვერსიების მომზადება - ელ. ბიბლიოთეკაში განთავსება	ელექტრონული განყოფილება	მთელი წლის განმავლობაში	
11.	დაინტერესებული პირებისთვის საბიბლიოთეკო რესურსების ეფექტურ გამოყენებაზე სპეციალური ტრენინგის ჩატარება	ბიბლიოთეკის ადმინისტრაცია	ყოველთვიურად	მსმენელთა რეგისტრაციის უზრუნველსაყოფად ინფორმაცია განთავსდება Portal.ge -ზე
12.	სამიზნე აუდიტორიისთვის სემინარების ჩატარება ელექტრონული სამეცნიერო ბაზების ეფექტურ გამოყენებაზე.	ბიბლიოთეკის ადმინისტრაცია	ყოველთვიურად	მსმენელთა რეგისტრაცია მოხდება ბსუ-ს ვებ გვერდის საშუალებით
13.	პირველკურსელთათვის ბიბლიოთეკის კვირეულის ჩატარება	ბიბლიოთეკის ადმინისტრაცია	სასწავლო წლის დასაწყისში	
14.	შესრულებული მუშაობის შესახებ ანგარიშების მომზადება და სათანადო ორგანოებისთვის წარდგენა	ბიბლიოთეკის თითოეული პერსონალი	მთელი წლის განმავლობაში, მოთხოვნისამებ.	
15.	სტუდენტთა სტაჟირებისა და დასაქმების პროგრამის აღდგენა, სტუდენტთა მომზადება	ბიბლიოთეკის ადმინისტრაცია, განყოფილების გამგეები	წლის განმავლობაში	

16.	თანამშრომელთა კვალიფიკაციის ასამაღლებელი ღონისძიებები : მივლინება ეროვნულ სამეცნიერო ბიბლიოთეკის მიერ ორგანიზებულ ტრეინინგ კურსებზე	ბიბლიოთეკის ადმინისტრაციის მიერ შერჩეული პერსონალი	მაისი, ნოემბერი	
17.	თანამშრომელთა კვალიფიკაციის ასამაღლებელი ღონისძიებები : მივლინება პარლამენტის ბიბლიოთეკაში	ბიბლიოთეკის ადმინისტრაცია, განყოფილების გამგეები და პროფესიული პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალი	ივნისი, დეკემბერი	
18.	ბიბლიოთეკის პერსონალისთვის ტრეინინგების ჩასატარებლად ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის პერსონალის მოწვევა	ბიბლიოთეკის სრული შემადგენლობა	მაისი	
19.	EBSCO –ს მონაცემთა ბაზების ეფექტური გამოყენებისთვის ტრეინინგების ჩასატარებლად ინტეგრირებული მენეჯმენტის სისტემების წარმომადგენელთა მოწვევა	ფაკულტეტებისა და კვლევითი ინსტიტუტების წარმომადგენლები	აგვისტო	